IBSU

# საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი) |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროფესორი ავთანდილ გაგნიძე, agagnidze@ibsu.edu.ge ტ.597999554 |
| **სწავლების საფეხური** | ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური) |
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | დამატებითი (Minor) |
| **კრედიტების რაოდენობა** | 60 |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | - |
| **დაშვების წინაპირობები** | დამატებითი (Minor) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | მენეჯმენტის დამატებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ცოდნა და სათანადო კვალიფიკაცია მენეჯმენტის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრაქტიკულ ბიზნეს მაგალითებზე მუშაობას.<br>ყოველივე ზემოაღნიშნული სტუდენტებს საშუალებას მისცემს ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ტიპის მენეჯერებად, რომლებიც შეძლებენ ბიზნეს-პროცესების გააზრებასა და მართვას და რომლებსაც ექნებათ შესწავლილი ბიზნეს საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. |
| **სწავლის შედეგები** | პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:<br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>დამატებითი საბაკალავრო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:<br>✓ ფლობს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი და სტრატეგიული მენეჯმენტის, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის, (მათ შორის საერთაშორისო ბიზნესის) და საწარმოო ოპერაციების მართვისა და პროგნოზირების, ბიზნეს-სტრატეგიის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მენეჯმენტის, ბიზნეს-კვლევის მეთოდების, პროექტების მართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ფინანსებისა და ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნას და აცნობიერებს მათ;<br>ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროს კვლევის ხარისხობრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს; |

| | |
|---|---|
| | **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**<br>კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება:<br>✓ ორგანიზაციის მენეჯმენტის ძირითადი უნარები: ბიზნეს-პრობლემატიკის განსაზღვრის, ბიზნეს-სიტუაციის ანალიზისა და შეფასების, ბიზნეს პროცესების განხორციელების უნარი;<br>✓ ძირითადი მენეჯერული უნარები: მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის უნარები;<br>✓ ძირითადი ფინანსური უნარები: ანგარიშების მომზადების, ინტერპრეტაციისა და წარდგენაში მონაწილეობის მიღების უნარი, ფინანსური ინფორმაციის ანალიზის უნარი;<br>✓ პროექტების მართვის ძირითადი უნარი: კალენდარული გრაფიკის დაგეგმვაში, მონაწილეობის მიღების უნარი; პროექტის შესრულების მონიტორინგის უნარი; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვის უნარი;<br><br>კურსდამთავრებულები შეძლებენ:<br>✓ შეისწავლონ ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტები და ფაქტორები;<br>✓ გაანალიზონ კომპანიის საქმიანობა მენეჯერული თვალთახედვით;<br>✓ მონაწილეობა მიიღონ საფინანსო ურთიერთობებში, აგრეთვე კომპანიის საფინანსო გეგმის, ბიუჯეტისა და ბუღალტრული ბალანსის შედგენაში;<br>**დასკვნის გაკეთების უნარი**<br>✓ ბიზნეს საქმიანობისათვის საჭირო მონაცემების მოპოვების, დამუშავების, გაანალიზების, ინტერპრეტაციისა და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარი;<br>✓ ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზისა და მოკლე და გრძელვადიანი გეგემების შედგენის პროცესში მონაწილეობის მიღების უნარი;<br>✓ პოზიციის არგუმენტირების, დაცვისა და სხვა უნარები.<br>**კომუნიკაციის უნარი**<br>✓ შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და |

| | |
|---|---|
| | ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა;<br>✓ კომუნიკაცია - შეეძლება გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეეძლება საქმიანი დისკუსიის წარმართვა.<br>✓ კითხვა – შეეძლება დამოუკიდებლად და სწრაფად რომელიმე უცხო ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა.<br>✓ წერა – შეეძლება წერილობით ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე.<br>**სწავლის უნარი**<br>✓ შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შეეძლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად იმუშაოს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.<br>**ღირებულებები**<br>✓ შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვოს მათ დასამკვიდრებლად. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;<br>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;<br>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;<br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; |

| | |
|---|---|
| | 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br>შეფასების საშუალებები შემდეგია:<br>✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა; |

| | |
|---|---|
| | ✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;<br>✓ საშინაო დავალება;<br>✓ დისკუსია;<br>✓ ზეპირი გამოკითხვა;<br>✓ წერითი გამოკითხა;<br>✓ ესე;<br>✓ სემინარი;<br>✓ პრეზენტაცია;<br>✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;<br>✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.<br>შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა. |
| **დასაქმების სფერო** | - |